№ 136
სამშაბათი, 8 ივლისი 1897 წ.

1877 – 1897

ივერია

№ 136
სამშაბათი, 8 ივლისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზოვის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართოთ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ერთ ნომერ
ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ფასი ფოსტით
ერთ ნომერ
ცალკე ნომ

თვ.	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

მთავრობის განკარგულებანი

მოქმედარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 40. თუ რომ პირველად მოწვეულს წარმომადგენლობა კრებას, თანახმად ზემორე §-ისა, საჭირო წევრთა რიცხვი არ დასწრება, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს, მაშინ ორ უადრეს ერთის კვირისა გამგობა მეორე კრებას მოიწვევს, რომელიც კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რამდენი წევრიც უნდა დასწროს. ამისთვის გამგობამ ადრევე უნდა აცნობოს ხოლმე წევრებს, რომ კრება მეორედ ინიშნება და გაფრთხილოს. მეორედ მოწვეულმა კრებამ მხოლოდ ის საკენი უნდა განიხილოს, რომლებიც პირველს კრებაზედ უნდა განეხილათ, ხოლო § 39-ში მოხსენებული საკენი წარმომადგენლობა კრების დასწრე წევრთა $^2/_3$ უნდა გარდასწყვეტოს; ს

⁂ სოხუმის ოლქის თავად-აზნაურობას შუადგომლობა დაუწყია ჯეროვანის მთავრობის წინაშე, რომ ქ. სოხუმში ვაჟთა კლასიკური პროგიმნაზია იქმნას დაარსებული.

⁂ კავკასიის რკინის გზის გამგეობას ვენაში ახალი ვაგონები შეუკვეთნია და ამ ვაგონებს მალე მიიღებენ. ვაგონები ბაქოს გზით ჩამოვა ტფილისში.

⁂ მაჰმადიან მლოკავთათვის მეოთხე კლასის 20 ვაგონი იგზავნება თურმე ბათომს, რომ აქედან ბაქოში გადაიყვანონ იგინი. ამასთანვე რკინის გზის მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა სადგურზედ ექიმებმა სასტიკი ყურადღება მიაქციონ მოგზაურ მაჰმადიანთ, დასინჯონ ხოლმე, ავადმყოფი ხომ არავინ აღმოჩნდება იმათში და სხ. მიიყვანენ თუ არა დანიშნულს ადგილას, ვაგონები უთუოდ კარგად უნდა დაწმინდონ და დეზინფექცია უყონ.

⁂ სურას ცირკი ამ ჟამად უკვე ტფილისშია და წარმოდგენების მართვას დღეიდგან, 8 ივლისს, დაიწყებს.

⁂ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლის მსურველთათვის ამ წელს გამოსაცდელი ეგზამენები 26 აგვისტოს არის დანიშნული, ხოლო ამავე ინსტიტუტთან არსებულს ქალაქის სასწავლებელში—26 აგვისტოს.

⁂ კურდღელაურის (კახეთშია) სოფლის საზოგადოების განაზრენი იმის შესახებ, რომ ამ სოფელში თვისის სიბოროტითა და ავკაცობით ცნობილი ოთხი კაცი: გიორგი ბეციაშვილი, მიხეილ ხოშმარაზაშვილი, სოსია სუხიტაშვილი და დავთო ბებოშვილი საქართველოდგან გადაესახლებინათ, საგუბერნო მმართველობას უკვე დაუმტკიცებია.

⁂ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ტანინ სოვეტნიკი დობროვინსკი პირველს ივლისს კავკასიაში წავიდაო, სწერს „მიროვიე ოტგოლოსკი“.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი გ. ს. კოვალევი გადაყვანილ იქმნა ტფილისის მაზრის მოამრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ.

⁂ სადგ. დადამეთელი. 6 ივლისს 12 საათ. და 15 წამზედ, ორთქლმავალი № 341, გასცდა რა მესამე ლიანდაგის ისარს ბაქოს მხრისაკენ, ლიანდაგიდგან გადავარდა და ცხვირით მიწაში ჩაიფლა. მიზეზი ამისა ის აღმოჩნდა, რომ ლიანდაგის რკინები გაწეულიყო. უბედურება არა მოახდენია. მხოლოდ მატარებელმა № 66 დაიგვიანა 4 საათითა და 20 წამით.

⁂ საგარეჯო. აქაურს მცხოვრებლებს ეგრედ წოდებულ სოფლის სანიტრებისაგან მოსვენება არა აქვთ. სანიტარები კვირაში რამდენჯერმე ჩამოუვლიან თურმე ღარიბ გლეხების ოჯახობას (მდიდარს გლეხებს ერიდებიან, რადგანაც ღვინოსა და არაყს მუდამ ასმევენ, ოღონდ ჩვენს კარმიდამოს თვალი აარიდეთო!) და თუ კარმიდამოზედ პატივი უნახეს, ლანძღვა-გინებისა და ათას ამისთანა შეურაცხყობათა შემდეგ, ლოგინი, ავეჯი და სხ. თურმე გააქვთ იქვე წყალობა მედუქნესთან დასაგირავებლად, რომ იმ დღეს კუჭი გამოიძღონ და გამოთვრნენ. საბრალო გლეხი, რასაკვირველია, მერე თავისს ქონებას თითონვე იხსნის, მაგრამ საყურადღებოა ვიცოდეთ, რა უფლება აქვთ, რომ სხვის მონაგრით ქეიფობენ. ან ვინ უთხრა, რომ გირაო უნდა გამოიტანოთ სახლიდგან და თქვენსავე კუჭის ამოსახორად მოიხმაროთო?

⁂ ქვემოზანი (ოზურგეთის მაზრა). 4 ივლისს აქ ტფილისის სამოქალაქო ფერშლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს გიორგი ერისთავის ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ძუნწი“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და ხალხიც ძალიან ნასიამოვნები დარჩა. სწორედ მადლობის და მიბაძვის ღირსნი არიან ეს ახალგაზდა ყმაწვილები, რომ გონების საზრდოს უჩენენ ამ ჩვენ მიყრუებულს სოფელს. მართალია, შემოსავალი ცოტა იყო, მაგრამ ჩვენ სოფელს მეტიც არ მოეთხოვება. წარმოდგენიდგან შემოსულის ფულით მოწყალეებმა სცენის სხვა-და-სხვა მოსაწყობი მასალა იყიდეს და აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო სკოლას შესწირეს.

⁂ ქ. ქუთაისი, 29 ივნისი. ქუთაისში წმ. მოციქულთა პეტრე და პავლეს სახელზედ აშენებული ეკლესია კარგა ხანია რაც დაიწვა. მას შემდეგ ამ ეკლესიის მრევლათვის წირვა ლოცვა სრულდება სასაფლაოს ეკლესიაში. ამისათვის 29 ივნისს სადღესასწაულო წირვა შესრულდა ჩვეულებისამებრ ამ ეკლესიაში. მწირველად ბრძანდებოდა სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ბენიამინე ადგილობრივის მღვდლებთან; წირვა შესრულდა რუსულს ენაზედ; ეკლესია სავსე იყო მლოცველებითა. წირვის შემდეგ სამღვდელოება დროშებით და გალობით გაეგზავნა ახლად აშენებულ პეტრე-პავლეს ეკლესიაში და აქ გარდახდეს პარაკლისი. ახალი ეკლესია ნახევრად უკვე აშენებულია; ამდენ ხანს კიდევაც მოთავდებოდა, ფული რომ არ შემოჰკლებოდა მრევლს; ეხლა ამ ეკლესიის მრევლს, რომელთა რიცხვი 500 იქნება, ბ-ნი დარახველიძის თიოსნობით, დაუდგენიათ, რომ თითოეულმა მაოგანმა 10 თვის განმავლობაში იხადოს ყოველ თვეში თითო მანათი ეკლესიის სასარგებლოდ და ამითი დაამთავრონ მისი აშენება.

⁂ 6 იელისს, საღამოს 9½ საათზედ, ტფილისის მოქალაქის სტეფანე ბარიუკოვის 13 წლის ასული მტკვარში ბანაობის დროს. დამრჩა ლის გაკმა ვერ ვრ უშველნათ.

საკედაგოგიო კურსები ტფილისში.

6 ივლისს, კვირას, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა მ. რექტორი სემინარიისა, არხიმანდრიტი სერაფიმე. თანამწირველად, აგილოგრიგის მღვდლის გარდა, იყო ერთი სამრევლო-საეკკლესიო სკოლების სამაზრო ზედამხედველთაგანი. წირვაზედ დაესწრნენ სამრევლო საეკკლესიო სკოლების მასწავლებელნი ქალნი და კაცნი, რომელნიც მოწვეულნი არიან კურსებზედ. წირვის შესრულების შემდეგ მამა რექტორმა წარმოსთქვა გრძნობით მოძღვრება, რომლითაც მიჰმართა მასწავლებლებს. თვისს მოძღვრებაში მამა რექტორმა დაახლოებით აი რა სთქვა: „უკანასკნელის ათის წლის გამოცდილებამ წარსულთან შეერთებულმა, დაარწმუნა სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მთავრობა, რომ ხსენებულს სკოლებში აღზრდისა და სწავლების საქმე სასურველად ვერ მიდის. ამის მიზეზები ის გარემებანი არ არის, რომელთაც ამ საქმის ზერე-ქვეყრედ განმხილველნი ასახელებენ. იმათ ისა აქვთ მიზეზად, რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში მასწავლებლებად უმეტესს შემთხვევაში პედაგოგიურად მოუმზადებელნი არიანო. ეს რომ ასე იყოს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სასაფლო სამინისტრო სკოლებში აღზრდა-სწავლების საქმე საუკეთესოდ არის წარმართული და, რომ სამინისტრო სკოლები მთავრობის სურვილს, უნაკლულოდ თუ არა, შეფფერებით მაინც განახორციელებენ ხოლმე, რადგანაც ამ სკოლებში მომეტებულად პედაგოგიურად მომზადებულნი მასწავლებელნი ჰზრომობენ, ის მასწავლებელნი, რომელნიც სამასწავლებლო სემინარიებში არიან ნასწავლნი. აქ ყველაფერი მართალია, ერთის მეტი. ეს ერთიც ის არის, რომ რაც უნდა გვარწმუნებდნენ საქმის შორიდგან მაყურებელნი სასოფლო სამინისტრო სკოლებში აღზრდა-სწავლების საქმის სასურველს მდგომარეობაში ყოფნას, მაინც ნამდვილი და ჭეშმარიტი საქმის გარემოება ცხადად გამოსვერტს და ვინც-კი ახლოდგან დაკვირდება, უეჭველად იმავე აზრს დადგება, რომელიც სამრევლო-საეკკლესიო სკოლების დაახლოებით გასინჯვამ დაჰბადა, ე. ი. რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზედ, მეტად თუ არა, ნაკლებად არ არის დაქვეითებული აღზრდა-სწავლების საქმე სასოფლო სამინისტრო სკოლებში. აქედან ცხადია, რომ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ. ჩემის აზრით, უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პედაგოგიური სწავლა მოძღვრება ეძლევა სკოლებში მეტად ახალგაზდებს, ცხოვრების, თუ სრულიად უმეცრებს არა, ბევრად უცოდინრებს, რის გამოც ასეთი სწავლა ჯეროვანს კვალს ვერა სტოვებს მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებაში, მათს გონების საუნჯეში. აი, ეს არის მიზეზი, რომ ყველგან და ყველასაგან აღიარებული დიდი სარგებლობა მასწავლებელთა ურილობებისა, სამგალითო გაკვეთილების გამართვისა, მოსმენისა და გარჩევისა, აგრეთვე თეორიულად საგნების გაჩხრეკა-გარჩევისა და სავსებით განმარტებისა. ეს არის მიზეზი, რომ უწ. სინოდთან დაარსებულმან სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მთავარ საბჭომ მოახდინა განკარგულება, რომ მოგზიწვოთ ქ. ტფილისში საპედაგოგიო კურსების მოსასმენად. იქნება ზოგმა თქვენგანმა კიდეც ითაკილოს, რომ პედაგოგიური კურსები უკვე მაქვს მოსმენილი და ხელ-ახლად მოსმენა საჭირო არ არის ჩემთვისო და სხვ. ჯერ ერთი, რომ როგორც ერთმა მეცნიერმა სთქვა, „ცოდნა სიმდიდრეა და რაც უნდა იცოდეთ, არ შეიძლება თქვენს ცოდნას არ მიემატოს, და მით არ გაგამდიდროთ, მეორე, თქვენ როცა

ვერ იყიდიან ჩასაცმელად და სხვანი. ერთის სიტყვით, ოთხ-ფეხა საქონელს უფრო მეტი მოვლა, მეტი პატივი და მოსვენება აქვს, ვიდრე ჩვენს საწყალს გლეხ-კაცობას.

აი, სწორედ ამისთანა მომაკვდინებელ, სავალალო ჯოჯოხეთის ყოფა ცხოვრებისაგან სასო-წარკვეთილს ხალხს სრულიად აღარა სწამს და აღარა სჯერა, რომ სადმე ცასა და ქვეყანაზედ იმისათვის გულ-შემატკივარი, ღვთისნიერი ადამიანი, სიმართლე და რამ კეთილი საქმე მოიპოვებოდეს.

გავიხსენოთ რა ურწმუნოდ და პირქუშად ეგებება ყველგან მდაბიო ხალხი, როდესაც ურჩევენ: ესა და ეს სკოლაა საჭირო თქვენისა და თქვენის შვილების კეთილ-დღეობისათვისო; მოვიგონოთ ისიც, რა ღმერთ-რჯულის და ჯვარ-ხატის ლანძღვა-გინებით მიდიან თავიანთ-ავე საკუთარ საქმე-ბეგარაზედ, როდესაც საფლობს, ღრე-კლდიანს გზას იკეთებენ, მოსავლის ჭამია მტერ-კლიას ჭელეტავენ, უწყლო ადგილებიდგან წყლები გამოჭაყვთ და სხვანი; გავითვალისწინოთ ისიც, როდესაც ხალხს ურჩევენ: ავადმყოფ ადამიანისათვის, მატყუარა დამღუპავი მკითხავები და მეწვრილმანების ყალბი წამალი კი არა, კარგი-მცოდნე ექიმია საჭიროო; ვენახების ამა-და-ამ ჭირ-სატკივრის გასაკრობათაც საჭიროა ესა-და-ეს უტყუარი წამალიო; მაგრამ უვიცი ხალხი ამგვარ მისთვის დიდ სასარგებლო ძმურს რჩევა დარიგებას ურწმუნო თომას თვალით უყურებს და ახლოც არ იკარებს. შეეხებოთ სოფლის ეკკლესიებშიაც თუნდ კვირა-უქმე დღეს, როდესაც მოცლილი ხალხი სამეკიტნოების წინ მოქეზეულა, ერთმანეთს აურ-ზაურიანის, უწმაწურის ლანძღვა-გინებით უყვირიან, უქყვიან, ემუკრებიან, ებობოკრებიან, ბევრჯელ „ცემა-ტყეპილობენ“ კიდეც და ეკკლესიებში-კი ლოცულობენ მარტო მღვდლები და დიაკვნები, რომელთაც მხოლოდ ეკკლესიის მნათები უგდებენ ყურს: აცა როდის გამოიყვანენ, რომ ჩვენც იმ სამეკიტნოებთან თავმოყრილ ხალხის ლანძღვა-თრევის „კონცერტში“ ჩავერევნეთო და გული გავირთოთ ძმა ძმაზედ, შვილი მამაზედ და მეზობელი მეზობელზედ გადამტერებულის დავი-დარბაზითაო.

კეთილი სწავლა-განათლებაც იგივე ქრისტეს მაღალ-ღვთაებრივი მოძღვრების წმინდა ეკკლესია-ტაძარია, მაგრამ ვაი მაშინ, როდესაც ხალხს არც კეთილი განათლება აქვს და რჯულ ეკკლესიაზედაც გული აუყრია; მაშინ ის ხალხი ჭარგავს ადამიანობას და უგუნურ, უცოდო-მადლო პირუტყვს ედგრება ბევრს რა შემე. ეს ისეა, მაგრამ ვისაც-კი ხალხში უცხოვრია წლითი-წლობამდის, გულთა-მხილავის გონების თვალით შეუსწავლია იმათი სულ გულის მდგომარეობა და ღრმად დაჭკვირებია ხალხის—როგორც თვით ხალხივე ამბობს—ჯოჯოხეთის ძალლ-უმადლო ცხოვრებასა და ეეეცხლის ლუკმის ჭამას, ის ვერც გაამტყუნებს ხალხს: რატომ სკოლებისათვის ფული არ იღებენო; რატომ თავიანთ საკეთილ-დღეო საქმე ბეგარას სიხარულით არ ასრულებენო; რატომ ადამიანის თუ ვენახ-საქონლის წამლობაზედ და სხვა ათას საკეთილო საქმეზედ ნასწავლების ძმურს რჩევა-დარიგებას არ იზმენენო; სამეკიტნოების წინ ლანძღვა-გინების ნაცვლად, რატომ კვირა-უქმე დღეს მინც ეკლესიებში არ დაიარებიან ღვთის სწავლა-მცნების მოსასმენადო.

დიაღ, ვერ გამტყუნებს ხალხს ის, ვისაც-კი სხვათა ჭირი ღობეს ჩხირად არ მიაჩნია და ვისაც მწარე-უკეთურთ ცხოვრების ჯოჯოხეთურ ქარცეეცხლში თავის სული და გული გამოუტარებია. ავიღოთ, მაგალითად, იმავ მდაბიო ხალხის ყოფა-მდგომარეობაში ჩავარდნილი ინტელიგენტი და გამოვიყვანოთ შედარება: როდესაც ინტელიგენტს თავში ათასი გარდასახადი და მოვალეობა უბრაგუნებს ლანძღვა-მუქარით, ჯიბეში თაგვები უთამაშებენ, ბიმშილ სიცივით ტანველ-შიშველ ცოლ-შვილი უწევის და შინ კაცა არას შეუჭამს და გარეთ ძაღლი, მაშინ იმ ინტელიგენტსაც-კი, რაც უნდა კაი მიმართულების კაცი იყოს, ძალა უნებურად ავიწყდება თავისი მოვალეობა: ვეღარც შვილებისათვის უსწავლებია უგრაშფულობით, ვეღარც საქველ-მოქმედო საზოგადო საქმეს შესწევენია, ვეღარც თეატრში წასულა, ვეღარც საუკეთესო ჟურნალ-გაზეთები და წიგნები გამოუწერია, აღარც ეკკლესია მოჰგონებია, აღარც ბრძენ-მეცნიერთა წესვლა-მოძღვრების რწმენა ჰქონია და გარდაქმნილა მთელი ცა-ქვეყნის ჯოჯოხეთად დამსახველ მოძოლე პესიმისტად. მიანიჭეთ ამ ბედ-დაკარგულ ინტელიგენტს კეთილი ცხოვრება და სულ-მოკლე პესსიმისტი უცბად გაოპტიმისტდება.

ასეთივეა ადანიანთა უმრავლესობის ბუნებაც: აბა, მდაბიო ხალხსაც უკეთესი მბრუნავი ცხოვრების ჩარხი წაღმა აუბრუნეთ, დაიხსენით იგი ეს ერთიც ის არის, რომ რაც უნდა გვარწმუნებდნენ საქმის შორიდგან მაყურებელნი სასოფლო სამინისტრო სკოლებში აღზრდა-სწავლების საქმის სასურველს მდგომარეობაში ყოფნას, მაინც ნამდვილი და ჭეშმარიტი საქმის გარემოება ცხადად გამოსვერტს და ვინც-კი ახლოდგან დაკვირდება, უეჭველად იმავე აზრს დადგება, რომელიც სამრევლო-საეკკლესიო სკოლების დაახლოებით გასინჯვამ დაჰბადა, ე. ი. რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზედ, მეტად თუ არა, ნაკლებად არ არის დაქვეითებული აღზრდა-სწავლების საქმე სასოფლო სამინისტრო სკოლებში. აქედან ცხადია, რომ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ. ჩემის აზრით, უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პედაგოგიური სწავლა მოძღვრება ეძლევა სკოლებში მეტად ახალგაზდებს, ცხოვრების, თუ სრულიად უმეცრებს არა, ბევრად უცოდინრებს, რის გამოც ასეთი სწავლა ჯეროვანს კვალს ვერა სტოვებს მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებაში, მათს გონების საუნჯეში. აი, ეს არის მიზეზი, რომ ყველგან და ყველასაგან აღიარებულია დიდი სარგებლობა მასწავლებელთა ურილობებისა, სამგალითო გაკვეთილების გამართვისა, მოსმენისა და გარჩევისა, აგრეთვე თეორიულად საგნების გაჩხრეკა-გარჩევისა და სავსებით განმარტებისა. ეს არის მიზეზი, რომ უწ. სინოდთან დაარსებულმან სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მთავარ საბჭომ მოახდინა განკარგულება, რომ მოგზიწვოთ ქ. ტფილისში საპედაგოგიო კურსების მოსასმენად. იქნება ზოგმა თქვენგანმა კიდეც ითაკილოს, რომ პედაგოგიური კურსები უკვე მაქვს მოსმენილი და ხელ-ახლად მოსმენა საჭირო არ არის ჩემთვისო და სხვ. ჯერ ერთი, რომ როგორც ერთმა მეცნიერმა სთქვა, „ცოდნა სიმდიდრეა და რაც უნდა იცოდეთ, არ შეიძლება თქვენს ცოდნას არ მიემატოს, და მით არ გაგამდიდროთ, მეორე, თქვენ როცა ათას მყვლეფავ-მგლეჯავ ჩარჩ-ვაჭარ-მოვაჭრეს კირაკეს მარტტირუზანაგან, მოქრთამე-მოღალატე მოხელეთა დაღუპვისაგან, მოუწყეთ კოოპერატიულ ერთობის ძალით ყოველგვარ ნაწარმოების აღებაცა და გაღებაც ისე გონივრულად, რომ ხალხსე უბრუნდებოდეს თავისის მილიონების აღებმიცემობის ის აუარებელი მოგება, რომლითაც დღეს ყარაბაღ-ნახჩევნელი ვაჭარ-მოვაჭრნი გვპატონობენ, გვპატრონობენ და თავზედ კაკალსაც-კი გვამტვრევენ ჩვენს მიწა-წყალში, და მაშინ ნახეთ, როგორ გამოიცვლება მთლად ხალხი სულითაცა, გულითაცა და გონებითაც, როდესაც თქვენს სიტყვას საქმედ გადაიქცევთ და საქმით დაუმტკიცებთ, რომ თქვენ ხალხისთვის მართლაც გული შეგტკივთ, კეთილი გინდათ და მზათა ხართ მის კეთილ-დღეობას თქვენი უკანასკნელი სიცოცხლეც-კი მსხვერპლად მოუტანოთ სწორედ ისევე, როგორც უწონდელს დროში ჩვენი სახელოვანი მეფე-გმირები იწირავდნენ საკუთარ სიცოცხლესაც-კი თავიანთ ქვეყანა ხალხის კეთილ-დღეო, ბისათვის, და თვით ხალხსაც არა თ მათი რჩევა-სიტყვის რწმენა-გაგონებ ჰქონდა, იმ თავის მფარველ გმირებს მეორე ღმერთად სთვლიდა სულში

ისმენდით მოსწავლედ ყოფნის დროს პედაგოგიურს მეცნიერებას, მაშინ გარემოებანი ისე არ გიწყობდათ ხელს, როგორც ეხლა. თქვენი აღზრდა და სწავლებაც არ შეიძლება მივიღოთ სახელმძღვანელოდ, რადგანაც თქვენ უფრო ის დგახსომდებოდათ, რ ც უფროს კლასებში გინახავთ და გაგიგონიათ.

დღევანდელი თქვენი შრომა-კი სულ სხვას თხოულობს. სულ სხვაა უფროს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ე თ-ური დამოკიდებულება და მცირე-წლოვან მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამოკიდებულება. მცირე წლოვანთ მოსწავლეთ რაც სიყვარულით და აღერსით მოეკეკვით, ის უფრო ნაყოფიერი იქმნება. თუმცა ძნელია მასწავლებლობა, თუმცა მრავალი დაბრკოლება ეღო ბა. წინ ამ საქმეს, მაგრამ მაგიერად პატივ-საცემი, მადლიან და დიდებული საქმეა, ნამდვილად ღვთაებრივი საქმეა. ამიტომაც მოხდება ხოლმე, რომ ისინიც, ვისაც ეს საქმე უყვართ, ისე არიან გატაცებულნი, რომ ხშირად ყველაფერი ავიწყდებათ. მე ვიცი მაგალითები (აქმ. რეტორმა დაასახელა ერთი ჩერნიგოვის გუბერნიის დიდის გვარისა და მამულის პატრონი კაცი, გვარად იურიევი, რომელმაც თითქმის საკუთარს ცოლ-შვილზედაც ხელი აიღო თუმრე და შეუდგა სასოფლო სკოლაში გლეხის შვილების გაწვრთნა-განვითარებას; მეორე—პეტერბურგის უნივერსიტეტის მატემატიკის პროფესორი, რომელმაც პროფესორობას თავი დაანება და აგერ ათ წელიწადზედ მეტია ჰმოღვაწეობს სასოფლო სკოლაში, როგორც უბრალო მასწავლებელი). თუ ამ საქმეს გულით მოეკიდებით, იგი დიდად სპატიო და დიდებულია, თქვენი შრომა თუმცა ნაკლებად იქმნება დაჯილდოვებული, მაგრამ დიდს ნაყოფს-კი გამოიღებს, თქვენი სამსახური კაცობრიობისათვის მადლიანია და ყოველად წარჩინებული და სასარგებლო. იმედი მაქვს, ტყუილად არ მოგიყრიათ თავი და ამ ერთად შეყრას ნაყოფიერი შედეგი მოჰყვება. ამ იმედით გამსჭვალულებმა მიმართოდ ღმერთს ლოცვა-ვედრებით, რომ იგი დაგვეხმაროს ამ ძნელს და წმინდა საქმეშიო.

ნადიკვრელი

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სადგ. სუფსა. რამდენისამე თვის დუმილის შემდეგ ბედგიგელ კაპიტალისტთა ეორნისფერა ქეაბმა ამ დღეებში ხელ ახლა მოიმოა კიგილ-კეაენი და ორე-მარე კაატოტლდა. სხვისის ხელის შემხედვრეს ვის რა ხეირი დაჭერია, მაგრამ ეს ამბავი მაინც სასამოვნოა: თუ მუშაობა გაჩაღდა, მაშინ სუფსის გამოტოტლდებასაც უნდა მოეკოდოდეთ. სადაც სადღა ფუსფუსებს და „ბრუკეკადა-ეკდრუნას“ ატრაბეკებს, დღეს ტოტკრეკბეტ აქა სდდეს. ჩვენ ხომ „ბრუკეკადა ეკდრუნასთან“ მუურადდ კოთ და უამისოდ-კი ფუსფუსი რა ეკანაა-დოფაა უნდა იეოს! ეკრ-ეკრობით მარტო ეტხოოდებისკენ ხელის ეკდა დაკეკრჩეკაა. თუ რადგისმე ნაკოის ეადრეკანი ბეკეკრეს, მაშინ, რასაკვირველია, ეუშაობა და ფუფლის ტრაადი ეროთ ათად მეტი იქნება და ჩვენც ნამდვილი ტეხოეკრბის ნაშინ-ეუფდი დაკეკეტეობა. ახლა-კი ჩვენს ეკან ჩამორჩენას და დაეუდეკრობას საზდეკრიც არა აქვს! დდეეურ კარამზედ საუბარი, ამა თუ ამ საეჩარა საკანზედ მითითება, კიდი, ზოგიერთს ეუფსეკებს ბარად ეეურეტხეოფდ გამოეუნდებთო. რას იზამთ!.. ქკეკანაზედ კანა ტოტაა ისეთი ადამიანი, რომელთაც დეთის-ეუადობა რომ უთხრთ, ღანდეკ-კანებად მოეკეკებათო?! ეუფსეკებიც ადამიანები ეროანო, მოკეხსენებენ!

რა უნდა კეკეკეთოთ ჩვენ, როგორ ისეთი შედარებით ბატარა საქმე, როგორიც ასოფლო წიგნთ-საცეკ ეამეთხეკდოს დაარსება, შეეძლებედ საქმედ მოკეხნაა?! დაბარაკი დაბარაკად რნება, ადგილი სამთელქვეყნო, გენიოს მწერალ-პოეტებად ყოფილიყენენ შობილნი, და ხალხის კეთილ დღეობისათვის-კი თავიანთ სიტყვა საქმედ არ ექციათ, მაინც თვით იმათზედაც უკმაყოფილოდ იტყოდა მასვე მტრისგან აკლებული ხალხი, და ამის გახსენების უმალვე ხალხისაკენ მიმართული ჩემი გულის წყრომა დიდ შეცდომად მიმაჩნია და უცბად მიქარწყლდება, რადგანაც ცალიერის სიტყვით ჩვენ, მწიგნობარნი ქართველნი, მწერალნი თუ არა-მწერალნი, ბევრს კეთილსა ვლაღდებთ ხალხის კეთილ-დღეობისათვის, და საქმით-კი არა ვშველით, რომ დაღუპვისაგან დავიხსნათ იგი საშველის მალამო წამლით და მითი დავიმსახუროთ მდაბიო ხალხის განუსაზღვრელი ნდობა-სიყვარული. თორემ, მართლაც-და, რა ჭკვაში მოსასვლელია: ადამიანი ზღვაში ირჩობოდეს და ჩვენკი, შველის ნაცვლად, ენა-მზიან სწავლა-სიბრძნეს ვუქადაგებდეთ! ვინ ამბობს, რომ მადალ-ნიჭიერის მადლით გაბრწყინვებული მწერლობა და ორატორობა უდიდებულესი წინ-წამწევი ძალა-იარაღი არ იყოს ქვეყნიე გულ-გონებისა და ყოველგვარ განათლება-პროგრესისა. მაგრამ მე მოგახსენებთ სავალალო ყოფა მდგომაცდომა მოგვსვლოდა და „Кав.“-ს სამების ხსენება მივაწერეთ და „Кав. С.-Х.“-ს-კი—სადმელისა.

აი, ამ შენიშვნის გამო „Нов. Обоз.“-ე ჰკითხულობს:

„თუ სამმა რუსულმა გაზეთმა შეიძლო იმ ცნობის მოპოვება, რომ ფილოქსერა გაჩნდა რაჭის ახალს ადგილსაო, ეს ხომ ქართულს გაზეთსაც შეეძლო, მით უმეტეს, რომ რაჭის მაზრა ქართველებით არის დასახლებული და ზოგიერთნი მისი მეტოვრენი, უეჭველია, „ივერიის“ მეტს სხვა გაზეთს არა კითხულობენო“.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ იმ სოფლად, სადაც ფილოქსერა აღმოაჩინეს, „Кав. С.-Х.“-მ სამება დასახელა და არა სადმელი, ხოლო „Кавк.“-მა-კი სადმელი და არა სამებაო, და დასძენს:

„თუ გაზეთულზედ პატივცემულს გაზეთს ტრიბინები აწუხებდა, ნათლად ეტყობა, ეხლა იმას ფილოქსერა ჰხრავსო“.

ვეკიეენა-რა ეს გაზ. „Нов. Обоз.“-მ, მაინც ვერ აგვიხსნა ვერც ჩვენა და ვერც თვისს მკითხველებს, სად უპოვნიათ ფილოქსერა—სადმელსა, სამებასა, თუ სამთისში. ჩვენ, ვთქვათ, სამების ხსენება ერთს გაზეთს მივაწერეთ, ხოლო სადმელისა—მეორეს, ამით, ჯერ ერთი, ფილოქსერა ერთის ადგილიდგან მეორეში არ ამოჰყოფდ თავს, აქაო-და „ივერია“-ს ასე ჰსურსო, და, მეორე, გაზ. „Нов. Обоз.“-ს შესახებ ხომ არა შეგვცდენია-რა, ამ გაზეთს სწორედ სამთისის ხსენება მივაწერეთ, რაც ნათქვამი ჰქონდა კიდეც, და რატომ არ გვიბრძანა, საიდგან გამოაცხო ასე სწრაფად ცოცხალი ტყუილი, როდესაც ამ სოფელში მისვლა ფილოქსერას ფიქრადაც არ მოსულიაო?!

„Нов. Обоз.“-ს ბ-ნი მენარკვევე მეტად სულ-სწრაფი და აჩქარებული რომ არ იყოს და ერთს დღეს მოეცადა, მეორე დღეს, ე. ი. წარსულ შაბათს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც თავისი უსამართლო შენიშვნა ჰქონდა დაბეჭდილი, ინ რას ამოიკითხავდა გაზ. „ივერია“-ში:

რაჭის საკუთარის კორესპონდენტისაგან მოგვივიდა ამბავი: 25 ივნისს სოფ. სადმელში, ალექსანდრე ვანიაშვილის ვენახში, რაჭის საფილოქსერო დასის წევრმა ბ-ნმა ემილ ჯანმა ფილოქსერა აღმოაჩინა და სხ.

ახლა ვკითხოთ გაზ. „Нов Обоз“-ს, რა სჯობია ერთის დღით ადრე ტყუილის ამბის დაბეჭდვა, თუ ერთის დღ-თ გვიან—მართლისა. ჩვენ ეხლა ვამტკიცებთ, რომ ფილოქსერა სადმელში აღმოჩენილი და არა სამთისში, როგორც ცრუდ მოაჯორა პატივცემულმა გაზ. „Нов. Обоз“-მ. მაშ ვინ ამახინჯებს ამბებს, ჩვენ თუ ეს „ტრიბინების გამავრცელებელთა და მფარველთა“ გულ-შემატკივარი გაზეთი?!

რუსეთი

—

გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს რუსეთის ყველა გზებზედ მეოთხე კლასის ვაგონები შემოიღონ. ეს ვაგონები იმითია მოხერხებული, რომ მაშინ ყველას შეეძლება მგზავრობა.

— გზათა მინისტრს თავ-დს ხილ-კოვს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ამ ბოლოს დროს რუსეთის რკინის გზებზედ ხშირადა ხდება სხვ და-სხვა უბედურება და ამისათვის მიუწერია, რომ რკინის გზის მოძრაობის უფროსთა მომავალს კრებაზედ, რომელიც ქ. რიგაში მოხდება 22 ივლისს, განხილულ იქმნას ეს საგანი და საჭირო საშუალებანი და ღონისძიებანი შეიმუშავონ, რომ როგორმე რკინის გზის მოძრაობის საქმე გაუმჯობესდეს. ამ საგნის განხილვის დროს უმთავრესად ყურადღება იმას უნდა მიექცეს, თუ როგორის ცოდნითა და ღირსებით უნდა იყოს აღჭურვილი მემანქანე, რომელსაც ესოდენ დიდი და პასუხის საგებელი თანამდებობა აქვს.

— საფრანგეთის ერთის ამხანაგობას „სავაჭრო კავშირს“ რუსეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დაუწყია, რომ ტუპასეს მახლობლად შავის ზღვის პირად საკმაოდ დიდი მამული მთავრობამ იჯარით მისცეს

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ტყუილად-კი არა ვთქვით ჩვენს ამასწინდელს ყბად ასაღებში, რომ „Нов. Обоз.“ ისეთი გულ და სულ-სწრაფია და ისე სახტომის გაუსინჯავად იცის როკვა ტ ხტომა, რომ კისერს მოიტეხს სადმეო. დიდი ცდა და ლოდინი არ დაგვჭირდა. წარსულს შაბათს ამ გაზეთმა კვლავ სიყვარულით მოგვიკითხა და ახლა-კი დაბეჭითებით დაგვარწმუნა, რომ მისი მენარკვევე ტბატარა კაცი ყოფილა და გულ-კი დიდი ჰქონია.

ეხლა რადას გვიკოეინებს გაზეთი. აი რას: ჩვენ „ივერიის“ მე-133 №-ში გვეოცა ერთი გარემოება. რუსულს გაზეთებში ნაუწყვები იყო, რომ რაჭის ერთს სოფელში ფილოქსერა უპოვნიათო. ამ სოფლად გაზ. „Кав Сельск. Хоз.“ სამებას ასახელებდა, „Кав.“—სადმელს ტ „Нов. Обоз.“ სამთისს. აღვნიშნეთ ეს ამბავი და ვიკითხეთ, რომელია ამათში მართალი და რომელი სტყუის, არ ვიცითო, რადგან ჯერ საკუთარის კორესპონდენტისაგან ცნობა არა გვქონდა მიღებული. თურმე ამ დროს შეერთობა ჩავარდნილ უმრავლესობაზედ, რომელსაც ჯერ, ყოველთ უწინარეს, საქმეი ეჭვერება ეველა-დახმარება და ისეთი უებარი წამალი, რომელიც-კი მის მანადგურებელს ჭირს ძირიან ფესვიანად ამოჰფხვრის და შაბოლოკავით ამოაგდებს ზეზედ სამუდამოდ, საუკუნოდ.

ასე, თუ სულით და გულით გვეწატრება, რომ ჩვენი ხალხიც გონება ზნეობით აყვავდეს და ევროპის დაწინაურებულს ერს მოეწოს ყოველ-გვარ წარმატებაში, ჯერ ორ-ფეხა მგლები მოვაშოროთ, ქონებრივი ყოფა მდგომარეობის უკუღმა მბრუნავი ჩარხი წალმა დაუტრიალოთ, თავის ყოველგვარი აღებ მიცემის ბატონ-პატრონი თითონვე გავხადოთ, რომ ამ მაღლ-სიკეთის და თავისის დაუღალავ გარჯა-შრომის წყალობით ქალაქ-დაბა-სოფლები სკოლებითა და მრავალის სასარგებლო დაწესებულებით ჰქონდეს სავსე, სახლები—ეურნალ-გაზეთ-წიგნებით, ამბრე ი—ფქვილით, ქვევრები—ღვინით, ქისა—ფულით, მთა-ველ-მინდორი ხნულით, ბაღებით, ვენახებით, ცხვარ-ძროხით, ფუტკრის სკა-ბეჯებით, და მრავალ გვარ სასარგებლო მცენარეთა პლანტაციები, ერთის სიტყვით, უანგარიშო წურბელა ვაჭარ-ჩარჩების და მოვახშეებისაგან ეხლა ჩამქრალი მდაბიო ხალხის ცხოვრება, რომ მაშინ ყოველის სიკეთით ჰდუღდეს და გადმოდიოდეს პირ-მშუშავის საამო კეხურ მაჭარივით.

მრავალჯერ თქმულა ჩვენს მწერლობაში წურბელა ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეებისაგან ხალხის ქონებრივად განადგურების ამბავი, თვით თქვენს უმორჩილესს მონა-მოსამსახურესაც ბევრჯელ მიწერია ამის შესახებ ტ დღესაც ხელში მაქვს მრავალი ისეთი ფაქტი სომეხ ვაჭარ-მოვახშეებთაგან კახეთ-ქიზიყში ჩადენილის ბოროტ-მოქმედებისა, რომ იმათი გამომჟღავნება ასი ათას ჯერ მეტად შემაძრწუნებელი იქნება თვით შაუმოვის და არუთინოვის სელდ-ტრიხინების აღმაშფოთებელ ისტორიაზედაც-კი, მაგრამ ნება მიბოძეთ, იმათი გამოქვეყნება სარდისმეოდ გადავდო და ეხლა-კი ის საქმე გამოვარკვიო ნათლად, რომელიც ზედ მიწევნით ავწონ-დაგწონე კარგა ხნის განმავლობაში, გამოცდილებით შევისწავლე და ეხლა უფრო დიდ საშველ წამალ-საქმედ მიმაჩნია იგი ხალხის ქონებრივად და გონებრივად წარმატებისათვის.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქმნება)

ისევმდა და რამ სათაყვანო წმინდანებივით ლოცულობდა მათ სახელ-ხსენებას.

გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ჩვენს მეფე საზღლებს თავისის ნებითა და ფეხით ნაზლებოდნენ მეორად, თავისის ნებითვე მიჰყავდათ მოხუც დედ-მამას თავიანთ გულის საყვარელი ჭაბუკი შვილები და სასოიანის ცრემლთა დენით მოახსენებდნენ ხალ-ხისათვის თავ-დადებულ მეფეს: „აჰა, ჩვენო მხსნელ მფარველო მეფევ, იახლე ჩვენი შვილებიც შემრად და ბრძოლის ველზედ შესწირე მსხვერ-პლად ამათი სიცოცხლეც სამშობლო ქვეყნის ურჯულოს ხელიდგან ხსნისათვისაო!“ განა ჩვენის მეფეებისა და ხალხის თვითნებით თავისის სიცოცხლის განწირვა იმისათვის არა ჰხდებოდა, რომ საქართველო ეხსნათ ურჯულოთა ჯარ-ლაშქრის აკლებაოხრებიდამ? განა დღეს რომ გარემორტყმული ესარს-ოსმალო-დაღესტანის ჯარ-ლაშქარი აღარ გვესმის თავს ასაკლებად, უთოფიარაღო, წურბელა ჩარჩ ვაჭარ-მოვახშეები იმათ ჯარ-ლაშქარზედ უფრო მეტად არ გვიკლებენ და გვაოხრებენ დღისითა-მზისით, უდარდელად, უფიქრელად? დიაღ, უფრო მეტად გვიკლებენ, მაგრამ რატომ არსადა სჩანან მათ გასადეგნად ჩვენი გმირები?...

მიბრძანეთ ღვთის გულისათვის, რა იქნებოდნენ ხალხის თვალში ის ჩვენი უკვდავ-სახელოვანი მეფე-სარდალ-გმირები, მარტო რომ ცალიერის სიტყვით ეახნათ: არიქათ, გვდეგნოთ ჩვენი აღმაოხრებელი ურჯულოს ჯარ-ლაშქარიო, შინადამ კარში კი არ გასულიყენენ, შეთოფიარაღებული მტერი ისეთივე თოფიარაღით არ გაედეგნათ და საქმით არ დგამტკიცებინათ ნათქვამი?—თქვენი მტერი, რომ ისინი ხალხის თვალში არარანი იქნებოდნენ, რადგანაც საქართველოს ენით გამოუთქმელი შავ-ბნელი დღე დაადგებოდა და იქნება მისი სახელი და ხსენებაც აღარსად ყოფილიყო დღეს ქვეყანაზედ!...

გული მიკვდება და სული ჩემი მწარედ ღონდება, როდესაც ჩვენი რომელიმე სახელოვან-ნიჭიერ მწერლის ნაწერის წაკითხვაზედ აღტაცების ნაცვლად ამას ამბობს მდაბიო ადამიანი გულ-ცივად: „ეჰ, შვილოსა, საქმე და დარდი არასი ჰქონია მაგის დამწერს და უჯდაბნია, რაც-კი ენის წვერზედ მოსდგომიაო“: მაგრამ ამავე დროს მახსენდება ესაც: ის ჩვენი სახელოვანი მეფეგმირებიც რომ თუნდ უზენაესის განგებით სამთელქვეყნო, გენიოს მწერალ-პოეტებად ყოფილიყენენ შობილნი, და ხალხის კეთილ დღეობისათვის-კი თავიანთ სიტყვა საქმედ არ ექციათ, მაინც თვით იმათზედაც უკმაყოფილოდ იტყოდა მასვე მტრისგან აკლებული ხალხი, და ამის გახსენების უმალვე ხალხისაკენ მიმართული ჩემი გულის წყრომა დიდ შეცდომად მიმაჩნია და უცბად მიქარწყლდება, რადგანაც ცალიერის სიტყვით ჩვენ, მწიგნობარნი ქართველნი, მწერალნი თუ არა-მწერალნი, ბევრს კეთილსა ვლაღდებთ ხალ-ხის კეთილ-დღეობისათვის, და საქმით-კი არა ვშველით, რომ დაღუპვისაგან დავიხსნათ იგი საშველის მალამო წამლით და მითი დავიმსახუროთ მდაბიო ხალხის განუსაზღვრელი ნდობა-სიყვარული. თორემ, მართლაც-და, რა ჭკვაში მოსასვლელია: ადამიანი ზღვაში ირჩობოდეს და ჩვენკი, შველის ნაცვლად, ენა-მზიან სწავლა-სიბრძნეს ვუქადაგებდეთ! ვინ ამბობს, რომ მადალ-ნიჭიერის მადლით გაბრწყინვებული მწერლობა და ორატორობა უდიდებულესი წინ-წამწევი ძალა-იარაღი არ იყოს ქვეყნიე გულ-გონებისა და ყოველგვარ განათლება-პროგრესისა. მაგრამ მე მოგახსენებთ სავალალო ყოფა მდგომარეობაში ჩავარდნილ უმრავლესობაზედ, რომელსაც ჯერ, ყოველთ უწინარეს, საქმეი ეჭვერება ეველა-დახმარება და ისეთი უებარი წამალი, რომელიც-კი მის მანადგურებელს ჭირს ძირიან ფესვიანად ამოჰფხვრის და შაბოლოკავით ამოაგდებს ზეზედ სამუდამოდ, საუკუნოდ.

ასე, თუ სულით და გულით გვეწატრება, რომ ჩვენი ხალხიც გონება ზნეობით აყვავდეს და ევროპის დაწინაურებულს ერს მოეწოს ყოველ-გვარ წარმატებაში, ჯერ ორ-ფეხა მგლები მოვაშოროთ, ქონებრივი ყოფა მდგომარეობის უკუღმა მბრუნავი ჩარხი წალმა დაუტრიალოთ, თავის ყოველგვარი აღებ მიცემის ბატონ-პატრონი თითონვე გავხადოთ, რომ ამ მაღლ-სიკეთის და თავისის დაუღალავ გარჯა-შრომის წყალობით ქალაქ-დაბა-სოფლები სკოლებითა და მრავალის სასარგებლო დაწესებულებით ჰქონდეს სავსე, სახლები—ეურნალ-გაზეთ-წიგნებით, ამბრე ი—ფქვილით, ქვევრები—ღვინით, ქისა—ფულით, მთა-ველ-მინდორი ხნულით, ბაღებით, ვენახებით, ცხვარ-ძროხით, ფუტკრის სკა-ბეჯებით, და მრავალ გვარ სასარგებლო მცენარეთა პლანტაციები, ერთის სიტყვით, უანგარიშო წურბელა ვაჭარ-ჩარჩების და

50 წლით ამ ამხანაგობას. ამხანაგობას აქ ავადმყოფთათვის საგრაკო-სამკურნალოს აშენება აქვს აზრად. ამ საქმეზედ ამხანაგობა 2 მილიონამდე ფულს დაჰპირდებოდა ეს საფრანგეთისა და გერმანიის კურორტების გეგმასა და გემოვნებაზედ მოაწყობს საგრაკო სამკურნალოს. თუ მთავრობამ ნება დართო, საქმეს დაუფიქრებლივ შეუდგებიან.

— გაზ. „ციმბირი“-ს სიტყვით, ამ ჟამად ციმბირიდგან ადმინისტრატიულის წესით თურმე ჰგზავნიან ებრაელებს. სხვათა შორის, ქ. ტომსკიდგან 800 ოჯახობა გადაუსახლებიათ, რომელთაც თავიანთი საკუთარი უძრავი მამული ჰქონიათ.

— შინაკაცს მეხანიკოს, ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრებს, დ. ნ. კახუბეევს დიდის გემებისათვის საგანგებო გადასაღები (ძგიდე) გამოუგონია, რომელიც წყალს სრულიად არ უშვებს თურმე. ეს ძგიდე სუბუქი და მაგარია თურმე. ამ ჟამად კახუბეევს ეს თვისი გამოგონილი ძგიდე სტოკ-ჰოლმის გამოფენაზედ წაუღია გასაინჯად. იქიდგან რომ ჩამოვა, კრონ-შტადტშიაც სცდიან ამ ძგიდეს.

— ფინანსთა სამინისტროსთან მინისტრის ამხანაგის კოვოვცევის თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია, რომელსაც თამბაქოს მოყვანის წესდების განხილვა აქვს დავალებული, ივლისის პირველს რიცხვებში კვლავ შეუდგება მუშაობას. ამ დროისათვის სამხრეთ გუბერნიების საკაციზო გარდასახადთა გამგეენიც შეიკრებებიან, რომ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

— დღემდის კავკასიიდგან ნავთი მხოლოდ ინგლისელებს გაჰქონდათ შავეი ზღვით. ახლა-კი, როგორც ხმა ისმის, იაპონელებსაც შეუდგენიათ საზღვაოსნო ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა თურმე აქვს კავკასიიდგან ნავთი იაპონიაში გაიტანოს. ხსენებულს საზოგადოებას აზრად აქვს შემდეგში შავის ზღვის პირის ნავთ-სადგურებში თავისი საკუთარი გემები გაიჩინოს და, ერთის სიტყვით, ამ ნავთ-სადგურებთან მუდმივი დამოკიდებულება იქონიოს.

უცხოეთი

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲐᲕᲘ.

ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება ამ რამდენისამე დღის წინად შესწყდა, რადგანაც ოსმალეთის წარმომადგენელი თევთიკ-ფაშა და ელჩები ვერ მორიგდნენ საზღვრების საქმეში. სულთანმა უკანასკნელი საშვალება იხმარა და ევროპის სახელმწიფოს მისწერა ყოველივე და ისიც, თუ, იმისის აზრით, როგორა სჯობია საზღვრის გაყვანა. სულთანს დიდი იმედი ჰქონდა ამ წერილისა და ეგონა რომ, თუ ყველა არა, ზოგიერთი სახელმწიფო მაინც შეიწყნარებს ჩემს წინადადებასო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა, რადგანაც სახელმწიფოთ არ შეიწყნარეს სულთანის სურვილი და ურჩიეს დასთანხმდეს ელჩების გარდწყვეტილებას. ეჭვი არ არის, ასეთი პასუხი არ ესიამოვნებოდა სულთანს, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა მიეღო იგი და თანხმობა განეცხადებინა ელჩების გადაწყვეტილებაზედ. მართლაც, როგორც უკანასკნელი დეპეშა იუწყება, თევთიკ-ფაშას უთქვამს ელჩებისათვის, რომ ოსმალეთი მზად არის ფორმალურად მიიღოს ზავის შესახებ შემუშავებული პირობებიო. ეჭვი არ არის, ამის შემდეგ მოლაპარაკებას ბოლო მოეღება და ექვსი კვირის მოლოდინის შემდეგ ორ მეომარ სახელმწიფოს შორის ზავი იქმნება დადებული.

—

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. ათინიდგან სწერენ საზღვარ-გარეთის გაზეთებს, რომ საბერძნეთი მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაშია. გაზეთების სიტყვით, საბერძნეთის კასსა ცალიერია, აღებ-მიცემობა და საზოგადოდ ვაჭრობა შეჩერებულია. ფინანსთა მინისტრმა ალარ იცის, როგორ გარდაიხადოს აუარებელი ვალები და ასეთს გარემოებაში სად შეუძლიან საბერძნეთს შემწეობა აღმოუჩინოს გაღარიბებულ და გაკოტრებულ თესალიას და ან როგორ გადაიხადოს სამხედრო ჯილდოო. ამიტომ, დასძენენ გაზეთები, ევროპის სახელმწიფონი უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება მალე გათავონ მოლაპარაკება და შემდეგ დაეხმარნენ საბერძნეთს ვალის გასტუმრებაშია.

—

ᲥᲠᲘᲢᲘ. როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, კრიტელები ჯერ კიდევ არა წყნარდებიან. 13 ივნისს მეამბოხეთა წარმომადგენელთ დაბა არმენში კრება ჰქონიათ კრიტის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ კრებას უმეტეს ნაწილად კრიტის დასავლეთ ოლქების წარმომადგენელნი დასწრებიან, თუმცა რამდენიმე კაცი აღმოსავლეთ ოლქებიდგანაც ყოფილა. კრებას გადაუწყვეტია, რომ კრიტელები, თუმცა შემდეგშიაც ეცდებიან საბერძნეთთან შეერთებას, მაგრამ ამ ჟამად, რათა უფრო გაადვილდეს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ზავის ჩამოგდება, მზად არიან დათანხმდნენ ევროპის წინადადებას და შემოიღონ კრიტზე თვით-მართველობაო. ამ რიგად კრიტელებს თვითმართველობა მხოლოდ დროებით უნდათ და შემდეგ-კი ხელ-ახლა საბერძნეთთან შეერთების სურვილს განაცხადებენ.

—

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. როგორც გაზეთები აცხადებენ, საფრანგეთის პრეზიდენტი რუსეთში ოთხს დღეს დაჰყოფს, — 11 აგვისტოდგან — 15-მდე. 11-ს პრეზიდენტი კრონშტატს მივა და იმავე დღეს ბალტიის ზღვის ესკადრას დაათვალიერებს, 12-ს პეტერბურგს საზამთრო სასახლეში სხვადა-სხვა წარჩინებულთა მიიღებს და საუზმის შემდეგ პეტერგოფს წავა, სადაც საღამოზედ საგანგებო წარმოდგენას დაესწრება. 13-ს პრეზიდენტი ფრანგთა ახალშენში საუზმეს მიირთმევს და შემდეგ პეტერბურგს დაათვალიერებს. ამავე დღეს მიიღებს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა და საღამოს პეტერგოფში წავა ბალზედ დასასწრებლად. 14-ს „კრასნოე სელოში“ აღლუმს დასწრობა და საღამოზედ, გამოსამშვიდობებელს სადილს შემდეგ კრონშტატში წავა.

ნაკვეთი

სასულ-განთქმულმა ფრანგულმა ერთ ხელ სიზოგადოებაში ერთის ეკუბატონის შესახებ გაუფრთხილებლად შენაშნა თურმე, რომ ტუდი სუნი ფდისო. ეს სიტყვები ამ ბატონს გაეგონა, იწყინა და ხმაღში გაათხოვა ფრანგლინი. ბასუსად ფრანგლინმა გულ-გრილად უთხრა:

— თქვენთან პრმოდეს არ ვეკამერებ, რადგანაც სიზოგადოდ ასეთი შეჩვენება სასუფლოდ მიმაჩნია. ამ შეთხვევაში კი ეს სასუფლოდ უფრო განსაკუთრებულია: მე რომ მოგკლათ, უფრო ტუდი სუნი აგიგია და თუ თქვენ მომ კალეთ, მეც ტუდი სუნი ამიგია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ისეთის საოცარსა და საკვირველს ამბავს, როგორიც ამერიკაში ხდება ხოლმე, სხვგან ვერსად შეხვდება კაცი. 1894 წელს ნიუ-იორკის შტატში დაარსდა ახალი სახელმწიფო, სრულიად თავისუფალი და ლამაზადებული, ამაზედ პატარა სახელმწიფო მთელ დედა-მიწის ზურგზედ სხვგან არსად არის. ამ სახელმწიფოს მცხოვრებთა შორის არც ერთი არ არის 17 წლისაზე უფროსი.

მთელს სახელმწიფოს უმრავლეს მხოლოდ 46 ლიტერის ოდენა ადგილი. მცხოვრებთა რიცხვი ორასია. საკვირველი ის არის, რომ მცხოვრენი ყველანი 12—17 წლისანი არიან. სახელმწიფოს სახელად ეწოდება ლიბრვილის რესპუბლიკა. მცხოვრენი მოვალენი არიან ამ სახელმწიფოში იცხოვრონ არა ნაკლებ 70 დღისა. რესპუბლიკა დაარსა ერთმა ყმაწვილმა, ვ. რ. ჯორჯმა, რომელიც პრეზიდენტად ითვლება. სახელმწიფოს ჰმართავს კონგრესი და წარმომადგენელთა პალატა. წევრებს ხმის უმეტესობით ირჩევენ: სენატორებს ირჩევენ ორის კვირის ვადით და რესპუბლიკის წარმომადგენელთ—ერთის კვირით. სასამართლოს საქმეებს თვით პალატა განაგებს. მსაჯულებს პრეზიდენტი ირჩევს. ბრალდებულს სრული უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი საქმე ნფიცმა მსაჯულებმა გაარჩიონ. რესპუბლიკაში პოლიციე არსებობს.

რესპუბლიკა ჰკრებავს სახელმწიფო ხარჯს, აქვს სახელმწიფო ბანკი, და საკუთარი ფული. ფული კალისა არის, ზედ რესპუბლიკის ბეჭედი დასმული. სახელმწიფო წევრს ყოველთვის შეუძლიან წარუდგინოს ხაზინაკალის ფული და ბიიღოს მისგან ვარტოფის ლი და ტანსასამელი. ბანკი აძლევს ფულს სესხად, იღებს ფულს შესანახად და აჯილდოვებს ყველას, ვინც სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობს.

სახელმწიფოს ყველა წევრი სკოლაში დადის. უმთავრესი საქმე სახელმწიფოს წევრთა—მეურნეობა და ბოსტნეულობა არის. ზოგნი სახელმწიფო მოხელენი არიან. ორი ვეკილიც არის აქა. ქალები ჰკერავენ, საბმელსა ჰხარშავენ და სარეცხსა ჰრეცხენ. ყველა წევრი ამ რესპუბლიკისა მხოლოდ შუადღემდე ჰმუშაობს და მერე-კი თავისუფალია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

6 ივლისი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 5 ივლისს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე სამხედრო გემით „ერიკლიკ“-ით რუსეთის საზოგადოების“ ნავთსაყუდელში მიბრძანდნენ. დიდი მთავრინა და დიდი მთავარი საუზმის შემდეგ რკინის გზით ბორჯომს წაბრძანდნენ.

ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝ�პᲝᲚᲘ. სევასტოპოლის რკინის გზის სადგ. „სინელნიკოვო“-ზედ საქონლის მატარებელი ლიანდაგიდგან გადავარდა.

ᲢᲤᲘᲒᲠᲜᲘ. რადგანაც კარგი ამბები მოდის გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობის შესახებ, იმპერატორიცამ გარდასწყვეტა ტეგერნზეს დარჩეს.

ᲐᲗᲘᲜᲐ. როგორც სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, სახელმწიფოთ სამხედრო კონტრიბუცია 4 მილიონამდე შეუმცირებიათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „სტანდარდ“-ს აუწყებენ დეპეშით კონსტანტინოპოლიდგან: „როდესაც ელჩებს ბარონ კალიეცესთან ბეჭობა ჰქონდათ, მათთან მივიდა თევთიკ-ფაშა და აცნობა, რომ სულთანი პრინციპიალურად თანახმაა მშვიდობიანად მორიგებაზედ და მზადაა ხელშეკრულობას ხელი მოაწეროსო“.

ოფიციალური ცნობა: „სწორედ იმ დროს, როდესაც ჯევთან-ფაშა კრტოსზედ წასასვლელად ემზადებოდა, ბრძანება მიიღო, რომ კონსტანტინოპოლში დარჩეს“.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. როგორც თევთიკ ფაშას მიერ ელჩების ბეჭობის დროს ნათქვამ სიტყვიდგანა სჩანს, მშვიდობიანი მორიგების საქმე რამდენისამე სხდომის შემდეგ სრულიად გათავებული იქნება.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. დეპუტატთა პალატა. სოციალისტი ბუაიე დაეკითხა—რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კონსტანტინეპოლში მოლაპარაკების საქმეო და თანაც დასძინა, პორტა რაღაცა ხრიკებსა სძებნისო. დასასრულ, ბუაიე ამტკიცებდა, — საფრანგეთს რომ კონსტანტინეპოლის წინაშე დემონსტრაცია მოეხდინა, საქმე დიდის ხნის გათავებული იქნებოდაო. ჰანოტომ მთავრობის პოლიტიკა განუმარტა. ჰანოტოს სიტყვას ტაშის კვრით შეეგებნენ. გობლემ წინააღმდეგობა განაცხადა. გობლემ გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა საბერძნეთის შესახებ; გაჰკიცხა აგრეთვე იმის გამო, რომ საბერძნეთის ფლოტს მოქმედების ნება არ მისცეს. ამ პოლიტიკამ, მართალია, ომი შესწყვიტა, მაგრამ სამაგიეროდ გერმანიას უპირატესობა მიანიჭა და ოსმალეთის ამაღლებას ხელი შეუწყო, მაშინ როცა საფრანგეთს ამ პოლიტიკამ სრულიად დაუკარგა მნიშვნელობაო. ოსმალეთში ცვლილებათა შეტანის საქმე და კრიტოსის ავტონომია ჯერ გარდაწყვეტილი არ არის და ოსმალეთი-კი თესალიის სიმდიდრით სარგებლობსო. ამის გამო ორატორი მთავრობის პოლიტიკასა ჰკიცხავს. მელინმა უპასუხა; რომ საფრანგეთის მთავრობას არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო. დამნაშავე თითონ საბერძნეთია, რომელსაც პალატის წევრებივე აქეზებდნენ და რომელმაც ევროპის რჩევა ურ-ჰყოვო, საფრანგეთს რომ საბერძნეთისათვის თანაგრსნობა განეცხადებინა, როგორც გობლე თხოულობს, ეს ხომ პირდაპირ ომის გამოცხადება იქნებოდაო და ის-კი გვავიწყდება, რომ ოსმალეთს უკან სხვა სახელმწიფო ჰყავდა ამოფარებული. მთავრობა დანარჩენ სახელმწიფოთა გარდწყვეტილებას ემორჩილებოდა და ეს იყო მიზეზი, რომ საფრანგეთმაც შუამავლობა დაიწყოო. სახელმწიფოთა ძალას მათი თანხმობა წარმოადგენდა და, თუ ყურადღებას მივაქცევთ, ამ ბოლოს დროს გერმანიაც კი იმასა სცდილობს, რომ სულთანი სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას დაემორჩილოსო. (ტაშის-კვრა ისმის). შემდეგ წინადადება იქმნა წარდგენილი, რომ მორიგ საქმეებს შესდგომოდნენ. მელინმა მიიღო ფორმულა, რომლითაც მთავრობის აზრი 334 ხმის უმეტესობით 114 წინააღმდეგ მოწონებულ იქმნა.

7 ივლისი.

ᲜᲘᲟᲜᲘ ᲜᲝᲕᲒᲝᲠᲝᲓᲘ. აზნაურმა პაღლე ივანოვმა მოიგონა ისეთი სითხის შედგენილობა, რომლის შემწეობითაც აღვილად შეიძლება ცეცხლის ჩაქრობა. აქ ორჯელ გამოსცადეს ხსენებული სითხე გემის პატრონთა, ნავთის მწარმოებელთა და გზათა უწყების წარმომადგენელთა: იმის წყალობით აქრობდნენ წაკიდებულს ნავთს და ორჯელვე შედეგი სამაგალითო გამოდგა. ბევრმა უკვე იყიდა ამ სითხის შედგენის საიდუმლო. სითხე ღირს ვედრო 4 კაპეიკი.

ᲐᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. დანიშნული 6 ივლისისათვის სამხედრო აგენტების კრება არ შესდგა, რადგანაც ოსმალეთის სამხედრო დელეგატი არ გამოცხადდა. შემდეგ უნდა მომხდარიყო მე-10 კრება თოფხანაში ზავის პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად. ელჩებმა დიდ-ხანს უცადეს-გარეშე საქმეთა მინისტრი თევთიკ-ფაშის მოსვლას, რომელიც ამ დროს ილდიზ-კიოსკში იყო, და შემდეგ მოსალაპარაკებლად ავსტრიუნგრეთის საელჩოში შეიყარნენ, სადაც მალე მოვიდნენ: გაიშა საქმეთა მინისტრი კრებაში მონაწილეობის მისაღებად და გენერალი ფელდეტიმეისტერი ზეკ-ფაშა საგანგებო მინდობილებით. მიუხედავად გარეშე საქმეთა მინისტრის უკანასკნელ განცხადებისა, გუშინდელ კრებაზე ოსმალეთის მხრივ მაინც ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას სამზღვრის საქმეში. მაშინ ელჩებმა მოსთხოვეს წერილობითი განცხადება დადებულის საზღვრის მიღების შესახებ. ელჩები ძალიან უკმაყოფილონი არიან, საერთოდ, ოსმალეთის მთავრობის ყოფაქცევისა და კერძოთ იმისა, რომ დღეს დიდ ხანს აცდევინეს.

მიუხედავად უკანასკნელის ხრიკებისა და ჟურნალ-გაზეთების მითქმა მოთქმისა, რომელნიც, უწინდელებრ, სამზღვრის პენეზე გაყვანას თხოულობენ, ელჩთა წერეებში იმედი აქვთ, რომ ზავი მალე იქმნება შეკრული, თუმცა სხვა და სხვა დაბრკოლებას კიდევ მოელიან.

Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Іюля 1897 г. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲚᲘ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲥᲩᲐᲕᲐᲫᲔ.